სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 07

2017წ. "08" 05

ქ.თბილისი

„შპს - თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 3 ნოემბრის №122 გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ

შპს - თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმის სააპელაციო საჩივრის, საავტორიზაციო დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 3 ნოემბრის №122 გადაწყვეტილების შესწავლისა და სააპელაციო საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26^7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. გაზიარებულ იქნეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 3 ნოემბრის № 122 გადაწყვეტილება შპს თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ.
2. სააპელაციო საბჭოს 2017 წლის 8 მაისის №4 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

თავმჯდომარე
აპოლონ სილაგაძე

მდივანი
ნინო დობორჯგინიძე